ხაშურის მოამბე

№14(338) 17 აპრილი, კვირა, 2022 წელი

გილოცავთ ბზობის დღესასწაულს!

ბზობა - არის ერთ-ერთი უდიდესი მოძრავი საუფლო დღესასწაული და მას საერთაშორისო ენაზე ეწოდება ქრისტეს ზეიმით შესვლა იერუსალიმში.

ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში, ქართველები ბზობას ვეძახით, რადგან სწორედ ბზის, წმინდა და მარადმწვანე ხის ტოტებით ვულოცავთ ერთმანეთს ამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, იმ მიზეზით, რომ საქართველოში ბზა ყველაზე ადრე ყვავის და ყველაზე ძვირფას ხედ მიიჩნევა.

ბზობა აღინიშნება აღდგომის წინა კვირას. ეს დღესასწაული დადგინდა მას შემდეგ, რაც იესომ მხოლოდ სიტყვით აღადგინა ოთხი დღის მკვდარი თავისი საყვარელი მეგობარი ლაზარე. ამ ფაქტით ებრაელი ხალხის უმრავლესობამ იწამა, რომ ქრისტე ღმერთია. მაშასადამე, რომ არ ყოფილიყო ლაზარეს აღდგინება, არავინ შეხვდებოდა დიდებით ქრისტეს იერუსალიმში, ახლა კი სახედრის კიცვზე ამხედრებულ იესოს ხალხი შეხვდა როგორც მეფეს: ფეხქვეშ უშლიდნენ ხალიჩებს, თავიანთ გარესამოსელს, პალმის ტოტებს, ყვავილებს და სულიწმიდის მადლით უგალობდნენ როგორც ღმერთს: „ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“

ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ზეიმით ხვდებოდნენ ქრისტეს, ქრისტე კი ტიროდა. ამაზე წმინდა მამები, ასეთ განმარტებას იძლევიან, რომ ქრისტე ღვთიური თვალით ხედავდა, რომ იგივე ხალხი, რომელიც დღეს „ოსანას“ გალობით ხვდებოდა, ერთი კვირის შემდეგ, მის ჯვარზე გაკვრას მოითხოვდა, რის გამოც ებრაელი ერი თავს დაიტეხდა უდიდეს უბედურებას. ქრისტე ხედავდა, როგორ გაანადგურებდა ვესპასიანე 70 წ. იერუსალიმს, რომ მისგან მთელი „გოდების“ კედელიღა დარჩებოდა და სახელმწიფო დაქცეულ-დაკარგული ებრაელობა როგორ დაიქსაქსებოდა მთელ დედამიწაზე და როგორ იქნებოდნენ სამადლოდ შეკედებულნი სხვის კარს საუკუნეების განმავლობაში.



ბზობის დროს, ქრისტე გაუხედნავ კიცვზე (ჩოჩორზე) იჯდა და უკან დედა სახედარი მისდევდა. ეს სიმბოლურია და წმიდა მამათა აზრით, ქრისტეს პირველად „გაუხედნავი“, წარმართი ხალხი შეიწყნარებდა, ხოლო სულ ბოლოს, ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს, ებრაელებიც მოიქცევიან ქრისტიანობაზე.

პროფესიულ-საგანმანათლებლო კოლეჯი „ქართლი“ ფუნქციონირებას წელს დაიწყებს

დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ კოლეჯ „ქართლის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მოადგილეები ცოტნე ნოზაძე და ნოდარ ლომიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე, კოლეჯ „ქართლის“ დირექტორი ხათუნა ლობჟანიძე, ხარისხის მართვის მენეჯერი ქეთი გელაშვილი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ჯონი ხაჩიძე, საკრებულოს წევრები, მერიის წარმომადგენლები.

კოლეჯის დირექტორმა ხათუნა ლობჟანიძემ ისაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვის, უახლოესი ამოცანების და მიზნების შესახებ. კოლეჯის დამფუძნებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იგი გათვლილია მინიუმ 200 სტუდენტზე, აქვს საერთაშორისო სტანდარტების (ადაპტირებული) აუდიტორიები, სახელოსნოები, სპორტული დარბაზები. კოლეჯის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსთვის, რის შემდეგაც მოხდება მისი აღჭურვა სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით,

კოლეჯის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შერჩეულია შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით. გათვალისწინებულია ადგილობრივი სამრეწველო ბაზრის მოთხოვნები.

კოლეჯი ავტორიზაციისთვის ემზადება, მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებზე პირველ სტუდენტებს 2022 წლის 3 ოქტომბერიდან მიიღებს, ხოლო გრძელვადიან პროგრამებზე-2023 წლის შემოდგომიდან. სწავლა აღნიშნულ პროგრამებზე, ძირითადად, დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ქვეყნისათვის განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

საკრებულოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა, ავტორიზაციასთან დაკავშირებით, საკუთარი პროფესიული გამოცდილება და მოსაზრებები გაუზიარა კოლეჯის წარმომადგენლებს.

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა დადებითად შეაფასა ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ხაზი გაუსვა პროფესიული განათლების მნიშვნელობას და სახელმწიფოს მხარდაჭერას ამ მიმართულებით.

გოჩა ბარბაქაძე:

დღეისათვის უკვე 59 სოციალურად დაუცველი დავასაქმეთ

აზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი

(დასასრული V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ - 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

მუნიციპალიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებს. თუმცაღა, გასულ, 2021 წელს, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების გამო, მნიშვნელოვანი კორექტივები შევიდა მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის საქმიანობაში. გაუქმდა არაერთი კულტურული, ახალგაზრდული თუ სპორტული ღონისძიება. თუმცა, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს მუშაობა არ შეუჩერებია და რეკომენდაციების დაცვით განახორციელა თავისი საქმიანობა.

საანგარიშო, 2021 წლის დასაწყისში, ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში, საახალწლო ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრის პირას მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

7 იანვარს, ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად მოეწყო ალილოს ღონისძიება-მსვლელობა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისგან, კულტურის ღონისძიებების ფარგლებში, ალილოს მონაწილეებს გადაეცათ სასაჩუქრე ტკბილეულის პაკეტები.

14 იანვარს აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე, ღონისძიების ფარგლებში გამოიფინა დროშები დიმიტრი ყიფიანის მოედანზე და მუნიციპალიტეტის შენობაზე.

25 თებერვალს, აღინიშნა უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკის დაბადების დღის საიუბილეო თარიღი. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ უკრაინის ელჩი, საელჩოსა და დიასპორის წარმომადგენლები, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები. ღონისძიება გაიმართა სურამის ლესია უკრაინკის სახელობის #3 საჯარო სკოლაში.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ, ყველაზე ასაკოვან და მარტოხელა დედებს, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს დედებს გადაეცათ თაიგულები და ფასიანი საჩუქრები.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღის მილოცვასთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ხაშურსერვისში" მომუშავე ქალბატონებს გადაეცათ ყვავილების თაიგული და ფასიანი საჩუქრები.

ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღსანიშნავად, 9 აპრილს, მერიის თანამშრომლებმა გვირგვინით შეამკეს ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დღის მოვლის ცენტრის და „მომავლის სახლის" ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა საზეიმო ტორტი.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, ვეტერანებს მერიისაგან გადაეცათ სასურსათე პაკეტები. მემორიალი შეიმკო გვირგვინით, თუმცა, კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 9 მაისის მემორიალთან საზეიმო ღონისძიება არ გამართულა.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, გვირგვინებით შეიმკო მემორიალური დაფები.

ივნისის თვეში, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამით ორგანიზებულ მასწავლებელთა აღიარების კონკურსში გამარჯვებული, ხაშურის მუნიციპალიტეტის მკვიდრი პედაგოგი ლიანა მეტივიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისგან დასაჩუქრდა ფასიანი საჩუქრით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დაძმობილებულ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში გამართულ მეგობრობის დღესასწაულში, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების გაღრმავებას ქალაქებს შორის და უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

27 ივნისს, ტაშისკრის ბრძოლის 412 წლისთავთან დაკავშირებით, მოეწყო სახალხო ზეიმი სოფელ ტაშისკარში.

ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, უფლისციხეში, მოეწყო შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების საგამოფენო კუთხეები, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მხრიდანაც წარმოდგენილი იყო ხელოვნების, ხალხური რეწვის და ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის ნიმუშები.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის ფარგლებში და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საზღვრისპირა სოფელ წაღვლში გაიმართა ანსამბლ ,,ფორტეს'' კონცერტი. ამავე პროექტით ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ, ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით, ჩატარდა კონცერტი სახელწოდებით „გაუმარჯოს მონატრებას". ასევე, სურამის კულტურის სახლში კონცერტი გამართა ცნობილმა რეპერმა -მასტერმა.

აღინიშინა 8 აგვისტო, რუსეთ-საქართველის ომის და 27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღე, გვირგვინით შეიმკო ომში გარდაცვლილთა საფლავები და მემორიალი.

5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ხაშურის #7 საჯარო სკოლის პედაგოგი ლიანა მეტივიშვილი, დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის #2 საჯარო სკოლის პედაგოგი მაყვალა შუბითიძე და ქალაქ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი მორის დანდურიშვილი დასაჩუქრდნენ ფასიანი საჩუქრებით.

2021 წელს, პანდემიიდან გამომდინარე გაუქმდა არაერთი კულტურული, ახალგაზრდული თუ სპორტული ღონისძიება. მათ შორის „ხაშურქალაქობის" ყოველწლიური, უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაული, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა და დაჯილდოვდა 4 საპატიო ხაშურელი:

<u>იზოლდა პაქსაშვილი</u> - დამსახურებული, თვალსაჩინო ხაშურელი ქალბატონი, შრომის ვეტერანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის;

<u>შოთა ლაბაძე</u> - დამსახურებული რკინიგზელი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის;

<u>დავით ჩიქოვანი</u> - მედიცინის დამსახურებული მუშაკი, მრავალწლიანი უმწიკვლო მუშაობისა და კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, განსაკუთრებული პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის.

<u>დარეჯან მანჯავიძე</u> - ხაშურის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი, ქალაქის სისუფთავისათვის ხანგრძლივი და თავდაუზოგავი შრომისათვის.

საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, ქ. ხაშურის სტუმრობდა ამერილის ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი.

3 დეკემბერს, შშმ პირთა დღესთან დაკავშირებით, „მომავლის სახლის" აღსაზრდელებს გადაეცათ სპეციალური საჭიროების სამუშაო მასალები და სადღესასწაულო ტორტი.

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, მთელი, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის კონკურს-ფესტივალებში, სადაც არაერთ წარმატებას მიაღწიეს, - მიიღეს ლაურეატის წოდებები და დაიკავეს საპრიზო ადგილები.

კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლის ბავშვებისათვის შეიკერა ჩოხა-ახალუხის 20 კომპლექტი.

სამხატვრო და საგამოფენო საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ხატვის წრის მოსწავლეებისთვის შეძენილ იქნა ხატვისთვის საჭირო სპეციალური პროდუქცია.

USAID-ის დახმარებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, სამუზეუმო გაერთიანების ახლადგახსნილ ფონდსაცავში დაიდგა სტელაჟები და მოლბერტები.

ამავე ფონდის თანადაფინანსებით, ხაშურის შემოსასვლელში გაკეთდა ტურისტული ცენტრი, რომელიც ამჟამად სრულადაა აღჭურვილი და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მისი გახსნა.

მთელი წლის განმავლობაში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საანგარიშო წლის წინასაახალწლო ღონისძიებები: 25 დეკემბერს ხაშურში, საზეიმოდ აინთო ნაძვის ხე, 27 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ მინისტრის ეგიდით, ჩატარდა წინა საახალწლო ღონისძიება და 31 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და მერის წარმომადგენლების მიერ საახალწლო ღონისძიება „სტუმრად საახალწლო სოფელში'', სადაც ჩვენმა მხატვრულმა კოლექტივებმა და მოწვეულმა ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობა. ასევე, 31-ში, დაბა სურამში გაიმართა საბავშვო გასართობი პროგრამა ანიმატორების მონაწილეობით. ღონისძიებები დასრულდა საზეიმო ფეიერვერკით.

<u>ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში,</u> ხაშურის მკვიდრმა შშმ პირებმა, ივლისის თვეში, მონაწილეობა მიიღეს ჯომარდობაში, რომელიც გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში.

საზღვრისპირა სოფლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კასპის ტექნოპარკში გამართულ პროექტ ,,გაციფრულე საქართველო" შემაჯამებელ ღონისძიებაში, ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სვანეთში გამართულ კულტურის დღეებში ,,მესტია - 2021".

„იმოქმედე გარემოსთვის" პროექტის ფარგლებში, 19 სექტემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ორგანიზაცია „Let s Do It" საქართველომ, ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით საინტერესო ღონისძიებები მოაწყო. გარემოსდაცვითი თემატიკით მოიხატა სურამის კულტურის სახლის ფასადი, დასუფთავდა სამი ლოკაცია: სურამის ყოფილი რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, სურამის ციხის მიმდებარე ტერიტორია და ჩუმათელეთი.

პროექტის ფარგლებში, გაიმართა სახალისო ვიქტორინები, რომლის გამარჯვებულებსაც მაისურები, კეპები და ჩანთები გადაეცათ.

აღნიშნული ღონისძიებები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და უშუალოდ, ხაშურის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები და მერის წარმომადგენელი დაბა სურამში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, აქტიური მონაწილეები გაემგზავრნენ ბაკურიანში მოწყობილ „მწვანე ბანაკში"

გამოვლინდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 100% გრანტის მქონე 11 სტუდენტი, რომელთაც გადაეცათ მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

საქართველოს თავდაცვის ძალების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი კვირეულის ფარგლებში და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში, საქართველოს ტერიტორიულიმთლიანობისთვისსამშვიდობომისიებსადასამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად, ალ. ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთს და მიმდებარე ტერიტორიას „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი" ეწოდა

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ - 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

(დასასრული)

და სპეციალური დაფა განთავსდა. მემორიალურ დაფაზე აღნიშნულია ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 გმირის გვარი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სოფელ ოსიაურში, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1921 წლის 4-6 მარტს ქართულმა არმიამ დედაქალაქის დატოვების შემდეგ ბრძოლა გამართა, მერიის ორგანიზებით მცირე ღონისძიება მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში, აღიმართა ჯვარი და ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის უკვდავსაყოფად დაანონსდა მემორიალის გახსნა. მერიის წარმომადგენლების მიერ, გვირგვინით შეიმკო აღნიშნული ადგილი.

სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატურად მიმდინარეობდა საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მონიტორინგი.

საანგარიშო წლის განმავლობაში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური მხარდაჭერას უწევდა მუნიციპალიტეტის მკვიდრი ახალგაზრდების ინიციატივებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის ცამეტი სახეობა, საწვრთნელო ვარჯიშებში ჩართულია 1359 აღსაზრდელი, სკოლის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელი ლიცენზირებულია. სასწავლო ვარჯიშები მიმდინარეობს დამტკიცებული განრიგის მიხედვით. 2021 წელს, სპორტული ფედერაციებიდან მოსული დებულებების თანახმად, სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღეს სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. ასევე, სასპორტო სკოლის სპორტსმენები არიან საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობაში სპორტის სხადასხვა სახეობებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში.

2021 წელს, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას ჰყავს საქართველოს, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების ჩემპიონები და პრიზიორები.

2021 წლის შედეგები:

სამბო

1. ზაურ დვალაშვილი – საქართველოს ჩემპიონი;
2. მიშიკო ნოზაძე – საქრთველოს ჩემპიონი;
3. ზაურ დვალაშვილი – ევროპის ჩემპიონატის მე-2 პრიზიორი.

ძიუდო

1. გიორგი ნასყიდაშვილი – საქართველოს ჩემპიონი;
2. ლუკა მაისურაძე – საქართველოს ჩემპიონი;
3. ლუკა მაისურაძე – ყაზანის გრანსლემის მე-3 პრიზიორი;
4. ლუკა მაისურაძე – ბაქოს გრანსლემის მე-3 პრიზიორი;
5. ლუკა მაისურაძე – ზაგრების გრანპრის მე-2 პრიზიორი;
6. ლუკა მაისურაძე -- ევროპის ჩემპიონი;

თავისუფალი ჭიდაობა

1. ლევან ქელეხსაშვილი – საქართველოს ჩემპიონი;
2. ლევან ქელეხსაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი ქვიშის ჭიდაობაში;

ძალოსნობა

1. გიორგი ხარაზიშვილი – საქართველოს ჩემპიონი;
2. თორნიკე ტაბატაძე – საქართველოს ჩემპიონი;
3. გიგა ოდიკაძე – საქართველოს ჩემპიონი;
4. გიგა ოდიკაძე – ევროპის ჩემპიონი.

რაგბი

1. გურამი გოგიჩაშვილი – ევროპის ჩემპიონი;
2. გია ხარაიშვილი – ევროპის ჩემპიონი.

მოყვარულთა გუნდ „დურუმ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და სასპორტო სკოლის დახმარებით, მოიპოვა შიდა ქართლის ჩემპიონის ტიტული ფეხბურთში, მასტერ ლიგის ჩემპიონატზე.

ხაშურის სასპორტო სკოლის წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოებით. ასევე, სკოლის დამსახურებულმა მწვრთნელებმა მიიღეს ფულადი ჯილდოები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით, მომზადდა კლიპი 2021 წლის წარმატებულ სპორტსმენებზე.

2020 წელს მოპოვებული შედეგებიდან გამომდინარე, ხაშურის სასპორტო სკოლის ნორჩი ივერიელები (სამი ასაკობრივი ჯგუფი) დაჯილდოვდნენ ინვენტარითა და სპორტული აღჭურვილობით.

კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ უმასპინძლა:

საქართველოს ჩემპიონატს ჭაბუკებს შორის, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში;

რამაზ ხარშილაძის სახ. მე-3 რესპუბლიკურ ტურნირს ჭიდაობა ძიუდოში;

კოლია ხვედელიძის სახ. რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;

ვახტანგ კვინიკაძის სახ. რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

სოფელ ვაყაში, ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ორგანიზებით, გაიმართა ქართული ჭიდაობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ურთიერთ თანამშრომლობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა – მილოშ გლიგორიევიჩმა და ანატოლი ბოისამ შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდა კალათბურთელებს ჩაუტარეს საკალათბურთო ვარჯიშები. საქართველოს კალათბურთის სამმა 16, 18, 20 წლამდელთა ნაკრებმა სამწვრთნელო შეკრებები გაიარეს კომპლექსურ სასპორტო სკოლაში.

სოფელ ფლევის მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მოხდა ახალი ჭიდაობის ჯგუფის გახსნა, გახსნასთან დაკავშირებით, მოეწყო საზეიმო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარ დეპუტატთან, ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან. მოხდა სავარჯიშო სპორტული ინვენტარის გდადაცემა.

ხაშურის მუნისციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ჭიდაობა ძიუდოში, ზაგრების გრან-პრიზე მონაწილეობა მიიღეს ლუკა მაისურაძემ და ზაურ დვალაშვილმა (ლუკა მაისურაძემ დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი), ასევე პარიზის გრანდ სლემზე, ხაშურის მუნისციპალიტეტის დაფინანსებით, მონაწილეობა მიიღო ლუკა მაისურაძემ (დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი).

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ მოხდა გუნდ „ივერიის“ დაფინანსების შეწყვეტა, რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოეძიებია მინიმალური ფინანსური სახსრები გუნდის შენარჩუნებისა და ჩემპიონატში მონაწილებისათვის.

ყოველწლიურად, სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის აქტიურად მიმდინარეობს ინვენტარის შეძენა-განახლება.

კონსტანტინე ფრუიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამსახურის უფროსი

- 9 აპრილის ექო -

ვერავინ ჩაგვიკლავს ქართულ სულს

მე გავიხსენებ 33 წლის წინანდელ თბილისს, რუსთაველის პროსპექტს... აქ ერთმა გრძნობამ - სამშობლოს სიყვარულმა გააერთიანა ქართველები. ალბათ, ყველაზე მეტად ეს სიტყვები მიესადაგება მათ იმჟამინდელ განწყობას: „თვისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“... ზეიმობდა ქართული სული. სიმღერამ, ცეკვა-თამაშმა გვიანობამდე გასტანა.

ღამის 2 საათი... აცივდა. მოშიმშილეები ერთმანეთს ეკვრიან. კითხულობენ ლადო ასათიანის ლექსებს. გრძნობენ აუწერელ სიახლოვეს, სიყვარულს. ზოგჯერ უსიამოდ ხვდება გულს შეგრძნება, რომ შორია - ახლოს დგანან ტანკები. დროდადრო ჩუმი ლოცვა აღმოხდება რომელიმეს.

4 საათი... რამდენიმე წუთი ტრაგედიამდე. ყველას მზერა მიპყრობილია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართ.

პატრიარქი თხოვს მომიტინგეებს, რომ დაიშალონ და ქაშვეთში ილოცონ, რადგან საფრთხე კარზეა მომდგარი, მაგრამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ირაკლი წერეთლის მოწოდებით, არ დავიშალოთ, ჩვენი წინაპრები მტერს ვაჟკაცურად ხვდებოდნენო, - მართლაც, არავინ განძრეულა. მომიტინგეები „მამაო ჩვენოს“ ლოცულობდნენ, ისმის უსინათლო გოგონების სიმღერა „სალაღობო“... შემდეგ დროებით წყდება საქართველოს მაჯისცემა. ერთმანეთში ირევა სიმღერა, ნიჩაბი, გაზი, ხელკეტი...

... 1989 წელი. 9 აპრილს დაიღუპა 16 ადამიანი, ხოლო მომდევნო დღეებში მათ ოთხი ადამიანი შეემატა...

21 სანთელი აანთეს მოსწავლეებმა მათი სულის მოსახსენებლად... ხაშურის მესამე საჯარო სკოლაში. დირექტორი თამარ გაგლოშვილი, ღონისძიების ორგანიზატორი ნინო კიკაძე, მუსიკის მასწავლებელი ნანა ლორთქიფანიძე. მე-10 კლასის მოსწავლე ნინო ლომიძე კითხულობდა 9 აპრილის აქციის მონაწილის ნინო კიკაძის დღიურებს.

სკოლის მოსწავლეები მხატვრულად კითხულობდნენ 9 აპრილისადმი მიძღვნილ ლექსებს, ამავე სკოლის მოსწავლეები და-ძმა სალომე და საბა გოგალაძეები ცეკვავდნენ „ქართულს“.

ჟრუანტელის მომგვრელი პატრიოტული სიმღერები სულს გვიფორიაქებდა, მაგრამ შეგრძნება იმისა, რომ 9 აპრილი მარტო გლოვის არა და იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეცაა, იმედს გვიტოვებს, რომ ძლიერ, მებრძოლ ქართულ სულს ვერავინ ჩაგვიკლავს...

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მოადგილე ზვიად ქურდაძე, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე და

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სხვა წარმომადგენლები.

და ბოლოს, რაც უნდა მეთქვა:

9 აპრილის ექო

იმ ტკივილიან დღეს...
იმ ტკივილიან ღამეს...
ნიჩბებით ჩაგვიჩეხეს რწმენა,
სისხლი შეაშხეფეს მთვარეს.
როგორ ჩაგვიჟანგდა ხმალი?!
როგორ ვერ დავუხვდით მტერს?!
როგორ მოვუხუჭეთ თვალი
ვითომ, მოყვრებსა და ძმებს.
სიმღერით შეგებებულ დუშმანს -
უსამშობლოსა და ყრუს,
როგორ შევუცვლიდით აზრებს,
როგორ მოვულბობდით გულს?!
ჭიკჭიკი ჩაუმწარეს მერცხალს,
ფერი დაუკარგეს ნუშს.
ცისკარი ჩაუხრჩვიათ მტკვარში,
მზერა შეჰყინვია სიონს,
ეჭვი გასჩენია ხვალეს,
ბზარი - კავკასიონს.
ასეთ ტკივილიან დღეს...
ასეთ ტკივილიან ღამეს...
ლოცვით შევღაღადებთ უფალს -
ღმერთო, გაგვინათე მალე.

მაყვალა ხაჩიძე,
მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების
საგამომცემლო საქმის მენეჯერი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7)

გორის სადგურში დაბრუნებულ მთავარსარდალს სადგურის ევაკუაცია უკვე დამთავრებული დახვდა და საერთო უკანდახევის ბრძანება გასცა. სადგურის „გასამგზავრებელი მხოლოდ ჩემი მატარებელი დარჩა, - წერს გ. კვინიტაძე - ამ მატარებელში სამხედრო სკოლის დარჩენილი ნაწილი იმყოფებოდა. მატარებლის გამგზავრებას ვაჩერებდი. მსურდა, პირადად მედევნებინა თვალი ჩემს მითითებათა შესრულებისათვის, მეშინოდა, ეს უკანდახევა გაქცევაში არ გადაზრდილიყო. ჩემს მატარებელს ჯავშანმატარებელი უნდა გამოჰყოლოდა უკან. სადგურზე რაც შეიძლება დიდხანს გაჩერებას კიდევ ერთი ვითარება მაიძულებდა. სადგურს და ჩემს მატარებელს მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. ყუმბარები ზუსტად ჩემს მატარებელთან ფეთქდებოდა. საბედნიეროდ, მატარებელს არცერთი ყუმბარა არ მოხვედრია. მატარებლის გასწვრივ მივდი-მოვდიოდი, ვითომ არაფერი ხდებოდა, ვითომ ჩემს ირგვლივ აფეთქებულ ყუმბარებს ვერ ვამჩნევდი. დაღამდა, მოწინააღმდეგემ ცეცხლი შეწყვიტა, ჩვენი არიერგარდის ნაწილები ჩემს მატარებელს წამოეწივნენ. მატარებელში ჩავჯექი და ხაშურისაკენ გავეშურე. ჯარს იქ უნდა დაეხია.

ხაშურში მთავრობის თავმჯდომარე დამხვდა. ამ ქალაქში სულ 3-4 დღე დავყავით. არმიელთა არიერგარდმა ხაშურის აღმოსავლეთით რამდენიმე ვერსზე პოზიციები დაიკავა. მოაწყეს სანგრები, ძირითადად თოვლისაგან. აქ ორი უბანი შეიქმნა. მარჯვნივ, რკინიგზის სამხრეთით გენერალ სუმბათაშვილის უბანი; მარცხნივ, მთისწინეთამდე – გენერალ მაზნიაშვილის უბანი. გარდა ამისა, ახალქალაქიდან მოდიოდა ახლადჩამოყალიბებული მე-11 პოლკის ბატალიონი, რომელიც ხაშურში ჩვენი იერიშზე გადასვლის წინა დამეს ჩამოვიდა.

ეს მარტის დამდეგს, დაახლოებით 5-6 რიცხვში ხდებოდა. ამრიგად, ხაშურში 6000 ხიშტზე მეტი შეკრიბე, თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისში სულ 9600-მდე ხიშტი მყავდა, მაშინ ამ ვითარებაში ეს საკამოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა გახლდათ. იყო თუ არა ეს ხალხი ბრძოლისუნარიანი? რაც შეეხება არმიას, უდავოდ ბრძოლისუნარიანი იყო.

არმიის ნაწილები გაშლილ, სწორ ველზე იერიშზე გადავიდნენ. მუხლებამდე თოვლსა და ტალახში მტრის ცეცხლის ქვეშ, გაშლილ ადგილზე იერიშის მიტანა ქვეითი ჯარისთვის ყველაზე რთულ ოპერაციად ითვლება. იერიშზე გვარდიაც გადავიდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს იერიში ბევრად ხელსაყრელ ვითარებაში, მთიან ადგილას ხორციელდებოდა და მის წინ მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, მალე დაიღალა და იგივე დაემართა, რაც მუდამ ემართებოდა. გვარდიამ ბრძოლის ველი მიატოვა, თუმცა არავის შეუწუხებია.

თუმცა, უკეთესია, ყველაფერი თანმიმდევრობით აღვწერო. ხაშურში, რკინიგზაზე სრული ქაოსი დამხვდა. სადგური გადაჭედილი იყო. უკვე აღვნიშნე, რომ რკინიგზის ევაკუაცია ეტაპობრივად ხდებოდა, ამის გამო შემდეგი სადგურები ივსებოდა. ყველა სადგური დიდი ხნის გასუფთავებული, დაცლილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გზების უფროსი ბათუმში წასულიყო და მე მხოლოდ ხაშურში მივაღწიე ახალი პირის დანიშნას, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ევაკუაციისათვის ადგილზე ეხელმძღვანელა. აქამდე ევაკუაციას ხელმძღანელობდა სადგურის მორიგე, ვინც ასრულებდა მხოლოდ ჯარის გადაადგილების ხელმძღვანელის პოლკოვნიკ გველესიანის მოთხოვნებს გადაზიდვის შესახებ. რასაკვირველია, სადგურის მორიგე ასეთ მოვალეობას თავს ვერ გაართმევდა, რადგან მეზობელი სადგურები მის მოთხოვნებს არ ასრულებდნენ და გასამგზავრებლად გამზადებულ მატარებლებს არ ღებულობდნენ, ვინაიდან მათი სარკინიგზო ხაზები ისედაც გადატვირთული იყო; ასეთი ვითარება გახლდათ ყველა სადგურზე. ბათუმში გზების უფროსს დეპეშა გავუგზავნე, ან თვითონ ჩამოსულიყო, ან ის პირი დაენიშნა, ვინც ამ რთულ ოპერაციას უხელმძღვანელებდა. ჯერ კიდევ გორში ყოფნისას, საქმის გამოსწორება ვცადე, მაგრამ მითხრეს, გზის უფროსი ხაშურშია და საქმეს პირადად ხელმძღვანელობსო. დავმშვიდდი, მაგრამ ხაშურში ჩამოსვლისას შევიტყვე, რომ გზის უფროსი ბათუმში წასულიყო, ვითომ იქიდან ევაკუაციას უკეთ უხელმძღვანელებდა. ამ ვითარებამ ზემოთნახსენები დეპეშის გაგზავნა მაიძულა და ეს პირი დაინიშნა. მაგრამ, რასაკვირველია, მისი მითითებანი შეიძლება არ დამთხვეოდა ბათუმიდან გაცემულ მითითებებს, ამიტომ ამ დარგში მეტად საჭირო ერთპიროვნულ მმართველობას ვერ მივაღწიეთ. ამ საკითხის მოგვარებამდე იძულებული ვიყავი სადგურის უფროსის კანტორაში გამეტარებინა დრო.

სადგურის მორიგესთან ჩემს ერთ საუბარს გავიხსენებ. ევაკუაცია ფერხდებოდა. კანტორაში შევედი და ვიკითხე, მატარებლები რატომ არ გადის-მეთქი. მანამდე მასთან გავაგზავნე რამდენიმე ადიუტანტი, რომლებმაც, ჩემი სახელით, მატარებლების დაუყოვნებლივ გამგზავრება მოსთხოვეს. ჩემს შეკითხვას აგდებულად პასუხობდა, ეტყობა, ვერ ხვდებოდა, როგორი კრიტიკული ვითარება იყო შექმნილი და რამხელა სირთულეები ექმნებოდა ჯარს ზურგის გადატვირთვით. გავაფრთხილე, თუ საქმეს ახლავე არ გამოასწორებ, დაგხვრეტ-მეთქი. მიპასუხა, ჩემთვის სულერთია, თავგზა ისედაც აბნეული მაქვს და ვერაფრით შემაშინებთო. ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე და ჩემი ნათქვამის შესრულებით დავემუქრე. ამან იმოქმედა, მატარებლების გასამგზავრებლად ყველაფერს ვიღონებო, შემპირდა. კანტორიდან გამოვედი, და მართლაც, მატარებლებმა სადგურიდან გასვლა დაიწყეს. მატარებლების შესაჩერებლად ბევრი მიზეზი არსებობდა. ერთ-ერთი მიზეზი დასამუხრუჭებელი ვაგონების უქონლობა, რომლებიც გვირაბიდან წიფაში მატარებლების დასაშვებად გვჭირდებოდა.

კიდევ ერთი გარემოება არსებობდა. ხაშურში ომისადმი რკინიგზელების პასიური დამოკიდებულება შევნიშნე. ყველაფერი უგულოდ და ზანტად კეთდებოდა. ამასობაში, გზის უფროსმა, ჩემი მოთხოვნით, უფლებამოსილი პირი დანიშნა. ახლა მისი არც გვარი, არც თანამდებობა არ მახსოვს. უნდა აღვნიშნო, მეტად ენერგიული და საქმიანი პიროვნება აღმოჩნდა. ევაკუაციის საკითხის მოგვარებას მას უნდა ვუმადლოდეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ხშირად ევაკუაციას პირადად ვადევნებდი თვალს.

ლიანდაგებზე შევნიშნე გასამგზავრებლად გამზადებული რამდენიმე მატარებელი, რომლებსაც ორთქმავლები არ გააჩნდათ. ვკითხე რატომ არ ამგზავრებდნენ. ორთქმავლების წინასწარ გამზადების ბრძანება ადრევე მქონდა გაცემული, მაგრამ მიპასუხეს, დეპოდან გვაცნობეს, გასამგზავრებლად გამზადებული ორთქმავლები არ გვყავსო. დილა იყო. დეპოში წავედი, უფროსი ვიხმე და ვკითხე, ორთქმავლები რატომ არ გაამზადეთ-მეთქი. ყველაფერი მზადაა, მაგრამ ორთქმავლები არავის არ მოუთხოვიაო, – მიპასუხა და გამზადებულ, ლიანდაგებზე მდგარ ორთქმავლებზე მიმანიშნა; სამი ბოლს უშვებდა, მეოთხე - ნახშირის დატვირთვას ასრულებდა, მეხუთე ახლა - იტვირთებოდა. მატარებლები გზას გაუდგნენ, მაგრამ ვერც ის დავადგინე, ვინ მოითხოვა ორთქმავლები და ვინ უპასუხა დეპოდან უარით. საერთოდ, ხაშური არასახარბიელო ადგილი გახლდათ, იქ ბოლშევიკური პროპაგანდა მძლავრობდა.

კიდევ ერთ უცნაურ შემთხვევას გიამბობთ. ეს მოხდა დილით, ჩვენი ხაშურიდან გასვლის დროს. ჩემი მატარებელი ჩიხში იდგა, ორთქმავალი უკვე მუშაობდა და გასამგზავრებლად ჩემს ბრძანებას ელოდა. მატარებელთან გავიარე და უეცრად შევნიშნე, რომ ორთქმავლის წინ 3-4 საჟენში რელსების სამაგრები მოშვებულიყო, ე.ი მოძრაობისას ორთქმავალი რელსებიდან გადავარდებოდა. ვინ გააკეთა ეს, ვერ დავადგინე. ბედნიერი

შემთხვევა იყო, რომ შევნიშნე. მანამდე რამდენჯერმე გავიარე ამ ადგილზე, აქვე მიმოდიოდნენ შტაბის ოფიცრები და რკინიგზის მუშაკებიც. სამაგრები შეაკეთეს. ასეთი ვითარება იყო ხაშურში, თითქმის ყველაფრის ევაკუაცია მოვახერხეთ, გარდა რამდენიმე დიდი ორთქმავალისა, რომლის წაყვანაც ვერ შევძელიც, რადგან შეკეთებული არ იყო...

ხაშურში გავიგე, რომ მთავრობის თავმჯდომარის მიერ დეზერტირებზე, წამქეზებლებზე, ურჩებზე და ა.შ. სასამართლოს გასამართად რწმუნებული პირი დაინიშნა.

ეს იყო ვიქტორ ჟღენტი. მის თანამდებობას სახელს ვერ დავარქმევ. იგი იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარეც გახლდათ. მას დიდი უფლებები ჰქონდა და თავის ძალაუფლებას ლამის ჩემზეც ავრცელებდა. რამდენადაც მახსოვს, მეტად ენერგიულად მოქმედებდა და რამდენიმე კაცი დახვრიტა კიდეც. ერთხელ მეც მივმართე მას სასამართლოში, მაგრამ ჩემი ცდა უშედეგოდ დასრულდა. არმიას და გვარდიას თავთავისი საინტენდანტო მომარაგების დაწესებულებები ჰქონდათ. მათი სახარჯო მაღაზიები ჩემთან შემოდიოდა. ხშირად ხდებოდა, რომ ერთ-ერთში მარაგი ილეოდა. ამიტომ ვბრძანე, არმიისთვისაც და გვარდიისთვისაც ორივე მაღაზიიდან საჭიროებისამებრ გაეცათ. ამის ნიადაგზე ინციდენტი მოხდა. გვარდიელთა მაღაზიის უფროსმა არმიელთა ერთ-ერთი ნაწილისათვის სურსათის გაცემაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ მე მომახსენეს. ჩემი ბრძანების შესრულება ვუბრძანე, მაგრამ ამაოდ. ეს ვ. ჟღენტს ვაცნობე და მისი დაპატიმრება და გასამართლება შევთავაზე. უშედეგოდ. ამ შემთხვევას, დროის უქონლობის გამო, ვეღარ დავუბრუნდი; ამის დრო აღარ იყო; მოვლენათა ტრიალში ვიყავი ჩაფლული.

მთავრობის თავმჯდომარის მატარებელი პირველად ხაშურში ვნახე. რასაკვირველია, იმ დღის განმავლობაში მასთან რამდენჯერმე შევიარე. ღამით მისი მატარებელი გვირაბის გავლით წიფაში უნდა წასულიყო. ხაშურში ჩვენი ყოფნისას იქ გამოჩნდა ე. გეგეჭკორი, ვინც ევროპიდან ახალი ჩამოსული იყო. მე მას შევხვდი, როდესაც შეიტყო, რომ ტყვია-წამალი გვითავდებოდა, გვითხრა, ამის შეძენა კონსტანტინოპოლში შეიძლებაო. ვუპასუხე, ვფიქრობ, იქ ფული არ გაგვაჩნია-მეთქი. დროებით, იქ ჩემს სახლზე არსებული ფულით, 2 მილიონი ფრანკით შეგიძლიათ ისარგებლოთო, მომიგო. ეს საუბარი გენერალ ზაქარიაძის თანდასწრებით ხდებოდა. რაც შეეხება ამ საკითხს, მინდა აღვნიშნო: ომის დაწყებისთანავე, ვიდრე მთავარსარდლად დავინიშნებოდი, კონსტანტინოპოლში იარაღისა და ტყვია-წამალის შესაძენად, გვარდიის შტაბიდან გენარალი ქუთათელაძე და კახიანი მიავლინეს. მოგვიანებით იქვე მიავლინეს ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი, გენერალი მდივანი. მისი მივლინება უკვე ჩემს დროს მოხდა, თუმცა ამის შესახებ მოგვიანებით, ბათუმიდან მიღებული დეპეშის მეშვეობით შევიტყე, ჩემი შეკითხვის პასუხად რომ გამომიგზავნეს და გენერალი ფურცელაძე აწერდა ხელს. დავინტერესდი, სად იყო გენერალი მდივანი და გავიგე, რომ იგი საგანგებო დავალებით კონსტანტინოპოლში წასულიყო. ამ დავალების არსი ჩემთვის დღესაც უცნობია. დამახასიათებელი ფაქტია. მთავარსარდალს უშუალოდ დაქვემდებარებული პირი საზღვარგარეთ ისე მიდის, რომ მისმა უფროსმა ამის შესახებ სრულიად არაფერი იცის. იარაღი და ტყვია-წამლის ნაწილი, მართალია, მივიღეთ, მაგრამ ძალიან გვიან. იარაღის უმეტესობა საერთოდ უვარგისი გამოდგა...

ამრიგად, ხაშურში ბრძოლის გასაგრძელებლად ყველაფერი ვიღონეთ. ზურგში, სურამის ქედზე პოზიცია გამაგრდა; ეს ძლიერი პოზიცია იყო. ამასობაში მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოწინააღმდეგის შეტევაზე წამოსვლა გამოიკვეთა. მოწინააღმდეგე თბილისის მხრიდანაც გვიახლოვდებოდა.

ვითარება ასეთი იყო. ჯარის მცირე გვყავდა, მაგრამ ჯერ მთელ დასავლეთ საქართველოს (ქუთაისის გუბერნია) ჩვენ განვაგებდით, კონსტანტინეპოლიდან საბრძოლო მარაგის ჩამოტანას ველოდებოდით. ქვეყნის შემდგომი თავდაცვის ორგანიზების მიზნით დრო უნდა მოგვეგო. ჩემთვის სამოქმედო გეგმა შევადგინე. პირველ რიგში შეტევა უნდა განგვეხორციელებინა იმ მოწინააღმდეგეზე, რომელიც ამ წუთს ჩვენთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა; ასეთი გახლდათ უახლოესი, თბილისის მხრიდან მოახლოებული მოწინააღმდეგე. მამისონის უღელტეხილთან და შავი ზღვის სანაპიროდან მომავალ მტერს თავისი მოქმედებები ჯერ იმდენად არ გეშალა, რომ ხაშურში შეკრებილ ცოცხალი ძალის ბირთვს უშუალოდ დამუქრებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, უპირველეს ყოვლისა, თბილისის მხრიდან მოახლოებულ მტერზე განმეხორციელებინა და უკუმეგდო, ხოლო მისი მოწინავე რიგები სრულიად გამენადგურებინა. საამისოდ ვითარებაც გვიწყობდა ხელს. 6000-მდე კაცი მყავდა, რაც, ჩემი აზრით, საკმარისი იყო ჩვენს სიახლოვეს მყოფ მოწინააღმდეგის ნაწილზე იერიშის მისატანად, რადგან მისი ძალების ნაწილი უთუოდ თბილისამდე იყო გაჭიმული. ამის გაკეთება სასწრაფოდ გადავწყვიტე, ანუ მოწინააღმდეგის პირველი გამოჩენისთანავე შეტევაზე უნდა გადავსულიყავი. ვიმედოვნებდი, ამ დროს იგი სრულად არ იქნებოდა გაშლილი და წარმატებას ადვილად მივაღწევდით. როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ჩემი გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა. მარცხის შემთხვევაში სურამის ქედისკენ დავიხევდით. წარმატების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს უკუვაგდებდით და მამისონისა და გაგრის მიმართულებების წინააღმდეგ სამოქმედოდ საკმარის დროს მოვიგებდით. შეტევა შემდეგნაირად უნდა განხორციელებულიყო.

გენერალ სუმბათაშვილსა და გენერალ მაზნიაშვილს მტრისთვის ფრონტიდან, რკინიგზის ხაზის გასწვრივ, მისი მარჯვენა და მარცხენა მხრიდან უნდა შეეტიათ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი I პოლკის ბატალიონი გავუშვით. გენერალ კონიაშვილს მთელ გვარდიასთან ერთად ეკავა ის უბანი, რომელსაც ბრძოლის ბედი უნდა გადაეწყვიტა. გვარდია უკვე სამი დღე სურამში იკრიბებოდა; ამ ხნის განმავლობაში დასვენებაც მოასწრო და თითქოს მოწესრიგდა კიდეც. გენარალი კონიაშვილი ადგილიდან გამთენიისას უნდა დაძრულიყო და მტებზე გავლით მტრის მარჯვენა ფლანგზე და ზურგში იერიში მიეტანა. მის მიერ გასასვლელი რაიონი თავისუფალი იყო მტრისაგან, რომელმაც რკინიგზის ჩრდილოეთით გაშლა ჯერ ვერ მოასწრო. იგი ის-ის იყო ჩვენი ფრონტის წინ, შორი საარტილერიო ცეცხლის მანძილზე გამოჩნდა, მეორე დღეს კი ჩვენ მივიტანეთ მასზე იერიში. მტკვარზე გადებული ხიდი მტრის ზურგში მოექცა. მოწინააღმდეგის ჯავშანმატარებლები ვერ გამოჩნდებოდა, ვინაიდან უკან დახევისას გავაფუჭეთ ხიდები, რომელთა შეკეთებაც ჯერ ვერ მოასწრეს. გენერალ კონიაშვილს შეტევას მარცხნიდან უზრუნველყოფდა ცხენოსანთა რაზმი, რომელსაც სულის მოსათქმელად ასევე რამდენიმე დღე ჰქონდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენი ფრონტისპირა უბანი სამი ჯავშანმატარებლით გავამაგრეთ. თადარიგში მხოლოდ სამხედრო სკოლის ერთი ასეული მყავდა. თუმცა, ყოველ წუთს, ახალციხიდან მომავალ მე-11 პოლკის ბატალიონის გამოჩენას ველოდებოდი. რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელი შეტაკების ველი წინასწარ დავათვალიერე, შეტაკების გეგმე კი შემდეგ შევადგინე. ბრძანებები წინასწარ გავეცი. გვარდია ბრძანებათა არაზუსტ შესრულებას ჩვეული იყო, ამიტომ ბრძანებაში საგანგებოდ გამოკვეთე ის დრო, როცა გენერალ კონიაშვილს მითითებული სიმაღლეები უნდა გაევლო; ეს სიმაღლეები ჩვენს რაიონში მდებარეობდა და მათ გავლას დანიშნულ დროს ვერაფერი შეუშლიდა ხელს. როგორც შემდეგ გაირკვა, მათ ეს სიმაღლეები საათნახევრის დაგვიანებით განვლეს.

შეტევაზე გადასვლის წინა დღეს, ე. გეგეჭკორი რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად დაჯავშნული მანქანით ჩვენს პოზიციებზე გაემგზავრა. მანქანიდან გადმოსულებს ჩვენი ფრონტის წინ სწორედ ამ დროს გამოჩენილმა მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. ამ საღამოს მთავრობის თავმჯდომარეს ვთხოვე, ზურგში, ქუთაისში გადაენაცვლა. მანამდე, ორი ღამე, მისი მატარებელი წიფაში გამგზავრებას აპირებდა. ბრძოლის დღეს იგი ძალიან ახლოს აღმოჩნდებოდა ბრძოლის ველთან, ეს კი სახიფათო იყო. იგი დამთანხმდა და გაემგზავრა. ამ და შემდგომ დღეებში ჯარი შემოვიარე, ყველაფერი დავათვალიერე, მოსალოდნელი ბრძოლის სერიუზულობა ავუხსენი, ამასთან, ჩვენი უკანდახევით შერყეული სულის გამოღვიძება ვცადე, სინამდვილეში, ჩემი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ჯარს ხრამზე განცდილი მარცხის მსგავსი არაფერი მოსვლია. თბილისის დატოვებისას 1000 ტყვე, 4 ქვემეხი და 20-ზე მეტი ტყვიამფრქვევი ჩავიგდეთ ხელთ. ეს მარცხი არ იყო. მაგრამ უკანდახევა სულიერ მდგომარეობაზე ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გოჩა ბარბაქაძე:

დღეისათვის უკვე 59 სოციალურად დაუცველი დავასაქმეთ

(დასასრული)

პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად,ბენეფიციარს,დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზეც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი, დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურადაა დასაქმებული. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, სოციალური შემწეობის მიმღები პირის სტატუსი არ გადამოწმდება.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს,მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაიწყო თუ არა პროგრამამ მუშაობა, როგორია მიმართვიანობა, ამ და სხვა საკითხზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების უფროსი **გოჩა ბარბაქაძე** გვესაუბრება:

ეს გახლავთ სოციაურად დაუცველთა დახმარების პროგრამა. როგორც ვიცით, სოციალურად დაუცველები 65 000 ქულამდე გვყავს, ამასთან ერთად, ბავშვთა გასაცემელი გაიცემა 120 000 ქულამდე. ფულადი შემწეობა ვისაც ენიშნება, ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ყველას აქვს-მათ სახელმწიფო საზოადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას სთავაზობს, სულ 77 ვაკანსიაა, მათ შორის: ტყის მცველის ვაკანსია, შენობა-ნაგებობების დასუფთავება და სხვა. 59 უკვე გადავამისამართეთ სამსახურებში.

- დღევანდელი მონაცემებით, რამდენი ადამიანია ბაზაში ამ ეტაპზე?

–სულ 3300-მდე ადამიანია ფიქსირებული ბაზაში, ვისაც შეუძლია ამ პროგრამით სარგებლობა.

- მოსახლეობის ინფორმირებულობა როგორ ხდება, როგორ გადიხართ კონტაქტზე?

–ჩვენი სამსახური თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან, რომლებიც რწმუნებულების და ტექსტური შეტყობინების სახით ახდენენ მოსახლეობის ინფორმირებულებას. ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში გვქონდა ვაკანსია, სდაც ქვიშხეთის რწმუნებულმა გაგვიწია დახმარება. გვქონდა ხაშური-ცხრამუხის გზის დასუფთავების ვაკანსია, სადაც ცხრამუხის რწმუნებული იყო აქტიურად ჩართული ურთიერთობა მოსახლეობასთან ინტენსიურია, რაც პროგრამის განხორციელებას უწყობს ხელს.

- მომართვიანობა რამდენად დიდია?

–იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სულ დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო, მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა ძალიან კარგია. 700-მდე ადამიანმა მოგვმართა, აქედან 59 უკვე დასაქმებულია, დანარჩენს გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია, მიეცათ გონივრული ვადა, მოსაფიქრებლად.

- გარდა ამ პროგრამის, დასაქმების მსურველებსაც შეუძლიათ მომართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს?

-დიახ, გარდა ამ პროგრამისა, ამ სიების მიღმა, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დასაქმების სურვილი, აქვთ შესაძლებლობა, მოგვმართონ განცხადებით და ჩვენი სამსახური მათ შრომით ბაზარზე მოუძიებთ მათთვის სასურველ ვაკანსიას. არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც დასაქმებული არიან, მაგრამ არ აქვთ ფორმალიზება და იურიდიული სტატუსი და ვთავაზობთ მის ფორმალიზებას. ვაძლევთ ამისთვის სამთვიან ვადას, ასევე, ვთავაზობთ მოკლევადიან გადასამზადებელ კურსს სხვა-

დასხვა კოლეჯებში. ამ პროგრამის მიზანია, მოსახლეობას გაუმჯობესოს შრომითი უნარები, და დაასაქმოს და გაუჩინოს გარკვეული ტიპის შემოსავალი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვაძლევთ გარანტიას, რომ ასეთი ადამიანები 4 წლის გამავლობაში აღარ ექვემდებარებიან ყოველწლიურ გადამოწმებას, სხვა შემთხვევაში, თუ მათ დასაქების სურვილი არ ექნებათ, დაექვემდებარებიან ყოველწლიურ გადამოწმებას.

რაც შეეხება ანაზღაურებას ერთ სულზე, 200 ლარიანი დარიცხვის შემთხვევაში, შეტყობინებაც არ მოგვდის, ოთხწლიანი ვალდებულების შემთხვევაში, ნებისმიერი რაოდენობის შემოსვალის დარიცხვისას, დაცულები არიან. ორი წლის განმავლობაში, ეპიდ. სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა ოჯახი გათავისუფლებული იყო ყოველწლიური შემოწმებისგან, პირველი აპრილიდან დავუბრუნდით გადამოწმების ძველ სისტემას. ხდება სიების გადამოწმება, ოჯახის წევრის კლების(მატების), მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის დატოვების შემთხვევებში.

ეს არის ბოლომდე სახელმწიფო პროექტი, სახელმწიფო სთავაზობთ მათ 300 ლარიან გასაცემელს ხელფასის სახით და ოთხწლიან გარანტიას. ჯერ-ჯერობის მიმდინარე პროექტია და ვფიქრობ, გრძელვადიანი იქნება.

- როგორ ფიქრობთ, ეს პროგრამა, რამდენად შეუწყობს ხელს ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას და ქვეყანაში სოციალური ფონისდასტაბილურებას?

–რა თქმა უნდა შეუწყობს, მატერიალურადაც და დასაქმებულებიც იქნებიან, მოეხსნებათ გარკვეული შიში, სოციალური გასაცემლის დაკარგვის, მოწესრიდგება მათი იურიდიული სტატუსიც. ვფიქრობ, ეს პროგრამა გაამართლებს და ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

თ. ჯავახიშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულო სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პროგრამების მიმდინარეობას გაეცნო

საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ლიპარტელიანის ინიციატივით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს შეხვდნენ და სოფლის მეურნეობის პროგრამები გააცნეს სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა და წამყვანმა სპეციალისტმა ავთანდილ გოგალაძემ.

ჯემალ გელაშვილმა ისაუბრა შეღავათიანი აგრო კრედიტის, „დანერგე მომავლის“, აგრო დაზღვევის და სხვა პროგამების შესახებ, წარმოადგინა სტატისტიკა, თუ რამდენმა ბენეფიციარმა ისარგებლა პროგრამებით. აღინიშნა,რომ 2015-2021 წლებში 122-მა ფერმერმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამებში ჩვენს მუნიციპალიტეტში, დამუშავდა 245 ჰექტარი მიწა.

კითხვაზე, თუ როგორია დინამიკა და რა ხელშემშლელი პირობებია ამ მიმართულებით, სააგენტოს წარმომადგენლებმა დაასახელეს სარწყავი სისტემის არქონა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის სამსახურის წარმომადგენლები. ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ჩაერთობა თანადაფინანსებით სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის დაწყების შემთხვევაში.

პროგრამების პოპულარიზაციის, ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლების და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით საკრებულო გააგრძელებს თანამშრომლობას საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, თენგიზ ჩიტიაშვილმა, სამომავლო თანამშრომლობის შეთანხმება დადო შპს „ესპ ფარმასთან", სს „გეფასთან", შპს „იმპექსფარმთან" და შპს „ავერსი-ფარმასთან".

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას და დახმარების მიმღებთათვის მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფას ყოველდღიური შეღავათიანი ტარიფებით.

აღსანიშნავია, რომ აქამდე, მერიის მიერ მედიკამენტებით დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსებული ბენეფიციარები აფთიაქების ქსელში ფასდაკლების უპირატესობით არ სარგებლობდნენ.

თენგიზ ჩიტიაშვილი: „საქართველოს მთავრობისთვის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა პრიორიტეტია. დღევანდელი მემორანდუმიც ამ მიზანს ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქალაქეები მემორანდუმის ფარგლებში შეძლებენ შეღავათიანი ფარმაცევტული სერვისის მიღებას, რაც მათ ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება."

ხაშურის მესამე საჯარო სკოლის პირველ კლასში უკრაინელი მოსწავლე ჩაირიცხა

პატარა დავითი ახალ თანაკლასელებს და მასწავლებელს პირველად შეხვდა.

დავითი, პირველ სასწავლო დღეს, საკლასო ოთახში მის ქართველ ნათლიასთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა და ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ მიაცილეს.

დავითის ოჯახი ხაშურში ხარკოვიდან ჩამოვიდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გაესაუბრნენ მოსწავლის ოჯახის წევრებს და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

„სკოლა ყველაფერს გააკეთებს, რომ დავითის საუკეთესო ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. დავეხმარებით მას როგორც სწავლაში, ისე თანატოლებთან ინტეგრაციაში", განაცხადა მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ გაგლოშვილმა.

- ეკოლოგია -

დასუფთავების აქცია სურამში

ასუფთავდა ხაშურში, მინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, სურამის ცენტრალურ ნაწილში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია და ზინდისის ტყე.

ინიციატორები: ჯგუფ "AirFo", ს(ს)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე შალვა ჩაჩანიძე და დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა–პანსიონის მოსწავლეები: ივანე ბუაძე და გიორგი ტეფნაძე იყვნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოხალისე მოსწავლეები.

აქციის ფარგლებში, გაიმართა სახალისო თამაშობები, ვიქტორინები და გამარჯვებულები პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას მხარს უჭერდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

დასუფთავების აქციაში აქტიურად იყო ჩართული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახური, რომელმაც უზრუნველყო მოსწავლეების ტრანსპორტირება და სხვადასხვა საკითხი. შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა კი მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის და ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" ორგანიზებით განხორციელდა.

მსგავსი ხასიათის აქტივობები, მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს და მიმართულია გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.